

მიღებულია “კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს” 2009 წლის 30 დეკემბრის №2 სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 24 სექტემბრის № 302/თ ბრძანებით

აკნუს მართვა პირველად ჯანდაცვაში

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია

(გაიდლაინი)

აკნეს მართვა პირველად ჯანდაცვაში

1. დაავადების განმარტება

შესავალი

აკნე ახალგაზრდა ასაკის პირების კანის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი დაავადებაა. სამედიცინოსთან ერთად, იგი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური პრობლემაა პაციენტისთვის.

გაიდლაინი განკუთვნილია პირველად ჯანდაცვაში მომუშავე ოჯახის ექიმებისათვის.

აღნიშნულ გაიდლაინში განხილულია აკნეს მკურნალობა მოზარდებსა და მოზრდილებს შორის. იგი არ მოიცავს დაავადების შედეგების (ნაწიბურები, ანთების შემდგომი ერითემა ან ჰიპერპიგმენტაცია) მართვის საკითხებს.

განმარტება

აკნე კანის ცხიმოვანი ჯირკვლების ანთებითი დაავადებაა, ქრონიკული დერმატოზია და ხასიათდება ღია და/ან დახურული კომედონებით, პაპულებით, პუსტულებითა და კვანძოვანი გამონაყარით.

სიმძიმის მიხედვით განარჩევენ დაავადების შემდეგ ფორმებს:

- **მსუბუქი აკნე** – კომედონები < 20, არაანთებითი პაპულები < 15 ან დაზიანებათა რიცხვი < 30;
- **საშუალო სიმძიმის აკნე** – 15-50 პაპულა და პუსტულა კომედონებით, იშვიათი კისტები. ტოტალური დაზიანებების რიცხვი 30-125;
- **მძიმე აკნე** – პირველადი ანთებითი კვანძები და კისტები, ასევე კომედონები, პაპულები და პუსტულები, ტოტალური დაზიანებების რიცხვი >125.

აკნეს დროს განვითარებული გამონაყარის ტიპები:

- **არაანთებითი**
 - თეთრი (ანუ დახურული) კომედონები (არაანთებითი ფოლიკულები, რომელთა შესავალი შეიცავს კერატინულ საცობებს და დაფარულია თხელი ეპიდერმული მემბრანით);
 - შავი (ანუ ღია) კომედონები (არაანთებითი ფოლიკულები, რომელთა შესავალი შეიცავს კერატინულ საცობებს და შავი შეფერილობა აქვს).
- **ანთებითი:**
 - პაპულები;
 - პუსტულები;
 - კვანძები და/ან კისტები.

2. ეპიდემიოლოგია

აშშ-ში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მომართვიანობის 10% უკავშირდება აკნეს, რაც წარმოადგენს წელიწადში 4,8 მლნ ვიზიტს¹. ეს დაავადება მოზარდების 85%-ს აღენიშნება. მოზრდილებში აკნე მამაკაცებთან შედარებით ქალებს შორის უფრო ხშირად გვხვდება (20-29 წლის ასაკში - 43-51%; 30-39 წლის ასაკში 20-35%). პაციენტთა 83% გამწვავებას უკავშირებს მენსტრუალურ ციკლს, 67% - სტრესს, 26% - კვებას;²

სხვადასხვა მონაცემებით საქართველოს 12-25 წლამდე მოსახლეობის 80%-ს აქვს აკნეს გამოვლინება.

პრობლეზი

აკნე თანდათან გაივლის სიცოცხლის მესამე დეკადაში (დეჰიდროეპიანდროსტერონის დონის თანდათან შემცირების გამო), თუმცა შესაძლებელია მოზრდილობის პერიოდში მისი პერსისტირება ან *de novo* განვითარება. მოზრდილთა აკნე უპირატესად ქალებს შორის აღინიშნება (პუბერტული პერიოდის დაავადებისაგან განსხვავებით, რომელიც უფრო ხშირად ბიჭებს შორის გვხვდება⁶). აკნეს პრემენსტრუალური გამწვავებები უპირატესად უფროსი ასაკის ქალებს შორის ვლინდება.

3. ეტიოპათოგენეზი

აკნე კანის ცხიმოვანი ფოლიკულების დაავადებაა. მის განვითარებაში შემდეგი ოთხი ფაქტორი მონაწილეობს:

- რეტენციული პიპერკერატოზი;
- ცხიმის გაძლიერებული პროდუქცია;
- დაზიანებული არის კოლონიზაცია ბაქტერიებით (*Propionibacterium acne*);
- ანთებითი პროცესი.

ცხიმოვან ჯირკვალში ცვლილებები პიპერკერატოზით იწყება. იგი ვლინდება ფოლიკულის შესავალის კერატინოციტების გაძლიერებული პროლიფერაციით და დესკვამაციის შეფერხებით. შედეგად ჯირკვლის არხში ყალიბდება საცობი, რომელიც ცხიმისა და კერატინისგან შედგება (მიკროკომედონები).

სქესობრივი მომწიფების პერიოდში ცხიმოვანი ჯირკვლები დიდდება და ცხიმის პროდუქციაც ძლიერდება. მიკროკომედონები ქმნიან ანაერობულ, ცხიმით მდიდარ გარემოს, იგი კარგი ნიადაგია ბაქტერიების ზრდისთვის, რომლებიც კვების წყაროდ ტრიგლიცერიდებს იყენებენ და შლიან მათ ჰიდროლიზის გზით ცხიმოვან მჟავებად და გლიცერინად. ბაქტერიები ძირითადად წარმოადგენილია *Propionibacterium acne*-თი (*P. acne*), რომელიც კანის ნორმალური ფლორის შემადგენელი კომპონენტია.

მიკროორგანიზმები (*P. acne* და ასევე სხვა კოკები) ათავისუფლებენ ქემოატრანქტანტებს, რომლებიც ინფექციის არეში ნეიტროფილებს მოიზიდავს³. თავისუფალი ცხიმოვანი მჟავები და ლიზოსომური ფერმენტები (გამოთავისუფლდება ნეიტროფილების მიერ) ფოლიკულის ეპითელის დაზიანებას (რუპტურას) იწვევს, რის გამოც კერატინი და ლიპიდები

ჩაიღვრება ირგვლივმდებარე დერმაში და წარმოიქმნება პაპულები ან კვანძები.

ფოლიკულის ჰიპერკერატოზის ხარისხის, ცხიმის პროდუქციის, მიკროორგანიზმის ზრდის და ანთების მიხედვით მიკროკომედონები იყოფა არაანთებითად (ღია და დახურული კომედონები) და ანთებითად (პუსტულები, პაპულები ან კვანძები):

- ცხიმის დაგროვების შედეგად მიკროკომედონები დახურულ (თეთრ) კომედონებად გადაიქცევა;
- ფოლიკულის შესართავი თანდათან იხსნება (გაჭიმვის გამო) და ღია (შავი) კომედონები ყალიბდება. მათ მუქ შეფერილობას ჩალაგებული კერატინოციტები, დაჟანგული ცხიმები და მელანინი ანიჭებს;
- ანთებითი დაზიანება (კისტები) ფოლიკულის შიგთავსის გარემომცველ დერმაში ჩაღვრის შედეგად ვითარდება. ყალიბდება ზედაპირული პუსტულები, ღრმა პაპულები ან კიდევ უფრო ღრმა კისტები (რუბტურის დონიდან გამომდინარე).

აკნეს მქონე პაციენტების უმრავლესობას ანდროგენების ჰიპერპროდუქცია არ აღენიშნება. ამ დროს ცხიმოვანი ჯირკვლების მგრძნობელობა ანდროგენებისადმი მომატებულია (ჰიპერსენსიტიულობა); თუმცა ანდროგენების სიჭარბემ (სხვადასხვა დაავადებების დროს) შეიძლება აკნეს განვითარება გამოიწვიოს.

აკნეს მქონე პრეპუბერტული ასაკის გოგონების სისხლში ნანახია დეჰიდროეპიანდროსტერონის (DHEA) სულფატის უფრო მაღალი დონე, ვიდრე დაავადების არმქონეთა შორის⁴. აღნიშნული ჰორმონის მაღალი მაჩვენებლის დროს მძიმე აკნე ვითარდება⁵.

დაავადების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები:

დაავადების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გენეტიკურ ფაქტორს.

გარემო ფაქტორები: კოსმეტიკური საშუალებების გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს აკნეს განვითარებას. ზეთოვანი, ცხიმოვანი კომპონენტები და საღებავების შემცველობა ამ საშუალებებში იწვევს კანის დაზიანების გამწვავებას, ხოლო წყალზე დამზადებული – ნაკლებად კომედოგენურია⁶.

საპნები, სხვადასხვა დეტერგენტები და შემკვრელები იწვევენ ცხიმის მოცილებას კანის ზედაპირიდან, მაგრამ ცხიმის პროდუქციაზე გავლენას არ ახდენენ. დაავადებას აუარესებს⁹ განმეორებითი მექანიკური ტრავმა (უხეში ჯაგრისის გამოყენების შედეგად), ამგვარი გზით, კანის მაცერაციის შედეგად, ე.წ. მექანიკური აკნეს (*acne mechanica*) განვითარება შეიძლება გამოიწვიოს პერანგის საყელომ, სამხრებმა, სპორტული ჩაფხუტის ტარებამ და ა. შ. შესაბამისად, პაციენტები უნდა მოერიდონ მჭიდრო ტანსაცმლის ტარებას და თავი შეიკავონ სახის კანის ტრავმირებისგან (გახეხვა და ა.შ.).

ასევე ამწვავებს დაავადებას ტენიანობა და ძლიერი ოფლი. ქლორაკნე გამოწვეულია ჰალოგენირებული ჰიდროკარბონატების, დიოქსინის ზემოქმედების შედეგად (კანთან კონტაქტის, ინჰალაციის ან ორგანიზმში მოხვედრის გზით). აღნიშნული ქიმიური ნივთიერებები გვხვდება საწარმოო

პროდუქტებში, დაბინძურებულ საკვებში და ა.შ. კლინიკურად ქლორაკნე ფართო მონომორფული კომედონებით ხასიათდება, რომელიც მძიმე ანთებად დაზიანებებად ტრანსფორმირდება და ნაწიბურებს წარმოქმნის.

დიეტა: აკნეს განვითარებაში კვებითი ფაქტორების მნიშვნელობის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები არსებობს^{10,11,12}. საკმარისი მტკიცებულებები არა არსებობს რაიმეს აკრძალვისთვის. ერთ-ერთი კვლევის შედეგად გამოვლინდა კავშირი აკნეს განვითარებასა და რძის მიღებას შორის¹³. ავტორების მოსაზრებით, დაავადების გამწვავებას რძის ჰორმონული კომპონენტები და/ან სხვა ბიოაქტიური მოლეკულები იწვევს. სხვა კვლევებით აკნეს განვითარება შეიძლება ინსულინისმაგვარმა ზრდის ფაქტორმა გამოიწვიოს.

პიცა, თხილი, ტკბილეული, შოკოლადი აკნეს მიზეზს არ წარმოადგენს¹⁴.

სტრესი: სტრესი იწვევს დაავადების გამწვავებას.^{15,16} პროსპექტული კოჰორტული კვლევის მიხედვით, რომელშიც 94 საშუალო სკოლის მოსწავლეს იკვლევდნენ, დარდობდა აკნეს სიმძიმე და კანის მიერ ცხიმის პროდუცირება ძლიერი (შუალედური გამოცდები) და მსუბუქი სტრესის დროს (საზაფხულო არდადეგები)¹⁷. კანის მიერ ცხიმის პროდუცირება არ იყო დაკავშირებული, ხოლო აკნეს სიმძიმე კავშირში იყო სტრესთან, განსაკუთრებით ვაჟებს შორის. აღნიშნული კვლევის მსგავსად, 22 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის მულტივარიანტულმა ანალიზმა გამოავლინა, აკნეს სიმძიმის კორელაცია სტრესთან (მაგ. გამოცდების პერიოდში)¹⁸.

4. კლინიკური სიმპტომატიკა

აკნე ვითარდება ტიპურ აგდებებზე – სხეულის იმ ნაწილებზე, სადაც კანი დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმოვან ჯირკვლებს. ესენია: *სახე, კისერი, გულმკერდი, ზურგის ზედა ნაწილი, მხრები*.

აკნესთვის დამახასიათებელ დაზიანებასთან (თეთრთავიანი, შავთავიანი კომედონები და ანთებითი კერები) ერთად აღინიშნება ნაწიბურები და ჰიპერპიგმენტაცია. ჰიპერპიგმენტაცია უფრო მეტად ვლინდება მუქი ფერის კანის მქონეთა შორის.

5. დაავადების დიაგნოზი

პაციენტის შეფასება ანამნეზის დეტალურად შეგროვებით იწყება. დაავადების დიაგნოზი კანის დათვალიერებით ისმება.

ფიზიკური გასინჯვისას განისაზღვრება დაზიანებების ლოკალიზაცია, ტიპი (ანთებითი, არანთებითი), ზომა (მცირე <5 მმ – პაპულები ან პუსტულები, დიდი ზომის >5 მმ – კვანძები), დაავადების შედეგები: ნაწიბურები (ატროფიული, გავრცელებული, ჰიპერტროფიული, კელიოიდი), ჰიპერპიგმენტაცია, ანთების შემდგომი ერთემა.

კვლევების ჩატარება, ჩვეულებრივ, საჭირო არა არის. მათი ჩატარების საჭიროება სხვა თანმხლები ნიშნების არსებობის შემთხვევაში დგება (მაგ.

ჰირსუტიზმი ან ვირილიზაციის არსებობა შემდგომ ლაბორატორიული და გამოსახულებითი კვლევებს საჭიროებს).

განხილული უნდა იქნეს ენდოკრინული დაავადებების შესაძლო არსებობაც; მაგალითად, ქალებს შორის პოლიკისტური საკვერცხეების სინდრომი (პსს) ჰიპერანდროგენიზმის ერთ-ერთი მიზეზია. ეს სინდრომი მენსტრუალური ფუნქციის დარღვევით, ჰირსუტიზმით, აკნეს განვითარებით, საკვერცხის კისტებით, სხვადასხვა ხარისხის ინსულინისადმი რეზისტენტობით და შავი აკანთოზით ხასიათდება. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით 51 აკნეს მქონე ქალს შორის 39% ჰქონდა მენსტრუალური ციკლის დარღვევა და 37%-ს პსს¹⁹. აღნიშნული დაკვირვების შედეგები მოწმობს, რომ ყველა ქალის, რომელსაც აკნე და ოლიგომენორეა აღენიშნება გამოკვლეული უნდა იქნეს პსს-ზე.

აკნეს სწრაფი განვითარება ვირილიზაციასთან ერთად თირკმელზედა ან საკვერცხის სიმსივნისათვისაა დამახასიათებელი; ასევე აკნე უვითარდებათ პაციენტებს კუშინგის დაავადების ან სინდრომის მქონეთ ან ადრენერგული ჰიპერპლაზიის დროს. ვირილიზაციის სიმტომებს მიეკუთვნება: ხმის შეცვლა, სარძევე ჯირკვლების ზომაში შემცირება, კლიტორომეგალია, ალოპეცია, ოლიგომენორეა და ჰირსუტიზმი. ასეთ პაციენტებს თირკმელზედა ჯირკვლების და საკვერცხეების რადიოლოგიური და ჰორმონული კვლევების ჩატარება ესაჭიროებათ.

ანამნეზის შეგროვებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს სხვადასხვა სამკურნალო საშუალებების მიღებაზე. აკნეს განვითარების მიზეზი შესაძლოა იყოს ისეთი სამკურნალო საშუალებების ხანგრძლივად მოხმარება, როგორცაა ადენოკორტიკოტროპული ჰორმონი, ანდროგენები, აზათიოპრენი, ბარბიტურატები, ბრომიდები, კორტიკოსტეროიდები, ციკლოსპორინი, დისულფირამი, ჰალოგენები, იოდიდები, იზონიაზიდი, ლითიუმი, ფენითიონი, ვიტამინები B₂, B₆ და B₁₂²⁰.

გამოკვლევების გეგმა

- მიკრობიოლოგიური კვლევა რუტინულად არ ტარდება (**რეკომენდაცია II, B**); მიკრობიოლოგიური კვლევის ჩატარება ესაჭიროებათ პაციენტებს, რომელთაც აქვთ აკნესმაგვარი გრამ-უარყოფითი ფლორით გამოწვეული ფოლიკულიტი;
- ანდროგენების დონის განსაზღვრა სისხლში რუტინულად არ ტარდება (**რეკომენდაცია I, A**). კვლევის ჩატარება მართებულია, როდესაც პაციენტს აკნესთან ერთად ანდროგენების სიჭარბის სხვა ნიშნებიც აქვს. ბავშვებში იგი შეიძლება გამოვლინდეს თმისაღობის მატებით ილიაში ან ბოქვენზე, კლიტორომეგალიით, მოზრდილ ქალებში – მენსტრუალური ციკლის გაიშვიათებით, ჰირსუტიზმით, ალოპეციით, უნაყოფობით, შავი აკანთოზით, სიმსუქნით და ა.შ.

ცხრილი 1. რეკომენდაცია მიკრობიოლოგიური ტესტირების ჩასატარებლად

რეკომენდაცია	რეკომენდაციის ხარისხი	მტკიცებულების დონე	ლიტერატურა
მიკრობიოლოგიური ტესტირება	B	II	21-24

6. მკურნალობა

მკურნალობის მიზანია პაციენტის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესება, გამონაყარის კონტროლი, დისკომფორტის და ფსიქოსოციალური სტრესის შემცირება, ნაწიბურების პრევენცია.

აკნეს სამკურნალოდ მოწოდებულია რიგი ადგილობრივი და სისტემური საშუალებები (იხ. ცხრილი 5). მათი არჩევანი დამოკიდებულია კლინიკურად გამოვლენილი დაზიანების ტიპსა და სიმძიმეზე²⁵ (იხ. სქემა 1, 2, 3). მიკროკომედონების მატურაცია 8 კვირამდე გრძელდება და აქედან გამომდინარე, ეფექტის მისაღებლ მკურნალობის ხანგრძლივობა ამ პერიოდზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მკურნალობა დიაგნოსტიკის შემდგომ რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს და ყოველ 2-3 თვეში შეფასდეს და გადაიხედოს. იშვიათად, თუმცა აღწერილია შემთხვევები, როცა მკურნალობა რამოდენიმე წელს გაგრძელდა.²⁶

ისტორიული მიმოხილვა: ძველი ეგვიპტისა და საბერძნეთის ისტორიულ ძეგლებში მოცემულია ინფორმაცია კანის დაავადების შესახებ, რომელსაც ახლა აკნეს ვუწოდებთ. ანტიკურ რომში აკნეს მკურნალობდნენ ცხელ მინერალურ ან გოგირდის აბაზანებით. 1800 წელს დერმატოლოგებმა ოფიციალურად აღიარეს გოგირდი, როგორც აკნეს სამკურნალო საშუალება; 1920 წლიდან კი ფართო გამოყენება ჰპოვა ბენზოილ პეროქსიდმა. 1930 წლიდან ამ მიმართულებით გამოიყენებოდა საფალარათო საშუალებები და რადიაქტიული ნივთიერებები. 1950 წლიდან ფართოდ დაიწყო ანტიბიოტიკების გამოყენება. ამავე დროიდან გამოიხატა ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკების უპირატესი ეფექტი ანთებითი აკნეს მკურნალობისთვის. მოგვიანებით, შესაბამისი ფარმაკოლოგიური ფორმების შემუშავების შემდგომ დაინერგა ადგილობრივი ანტიბიოტიკების გამოყენება. 1970 წელს მოხმარებაში შემოვიდა ტრეტინოინი.

მკურნალობის სახე (ადგილობრივი, სისტემური) დაავადების სიმძიმითა და დაზიანების ლოკალიზაციით განისაზღვრება.

მედიკამენტები კლბილობრივი მკურნალობისათვის

მკურნალობისთვის ადგილობრივი (ლოკალური) საშუალების სახეობის არჩევა პაციენტის კანის ტიპის და სურვილის გათვალისწინებით ხდება. გელი იწვევს კანის გამომშრებას, ამიტომ მისი გამოყენება უმჯობესია ცხიმოვანი კანის შემთხვევაში. მაღამო და ღოსიონები კანს ანოტივებენ და უპირატესობა მათ მშრალი კანის შემთხვევაში ენიჭებათ. ადგილობრივი საშუალებების უმეტესობა დღეში ორჯერადად გამოიყენება, თუმცა შესაძლებელია დღეში ერთჯერადი ან დღეგამოშვებით გამოყენება, თუ ხშირი მოხმარებისას კანის გაღიზიანება ვითარდება. ამასთან, უფრო ეფექტურია ადგილობრივი საშუალებების კომბინაცია, ვიდრე მათი დამოუკიდებლად, ცალკე-ცალკე გამოყენება. მიღებული კომბინაციებია: რეტინოიდები, ბენზოილ პეროქსიდი და ტოპიკური ანტიბიოტიკები.

- კომბინაცია იძლევა უფრო გამოსატულ თერაპიულ ეფექტს, ვიდრე თითოეული აგენტის დამოუკიდებელი გამოყენება;
- ერთზე მეტი ადგილობრივი საშუალების გამოყენებისას – ერთი გამოიყენება დილით, მეორე – საღამოს. როგორც წესი, ადგილობრივი რეტინოიდები საღამოს ინიშნება.

ბენზოილის ზეჟანგი

ბენზოილის ზეჟანგი გამოიყენება სხვადასხვა კონცენტრაციითა და შემავსებელით. ამ ეტაპზე არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც სხვადასხვა ფორმულების უპირატესობას განსაზღვრავს. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაიცემა ურეცეპტოდ. ხასიათდება ბაქტერიციდული მოქმედებით, აინჰიბირებს ახალი კომედონების წარმოქმნას, ამცირებს ფოლიკულურ ლიპიდებსა და თავისუფალ ცხიმოვან მჟავებს, რაც თავის მხრივ ეპითელის დესკვამაციას იწვევს. არჩევს პრეპარატია მკურნალობის დაწყებისას და ნებისმიერი სიმძიმის აკნეს დროს გამოიყენება. ხსნარები და მალამოები გელთან შედარებით ნაკლებად იწვევენ კანის ირიტაციას. თუმცა მაინც შეიძლება გამოიწვიონ ერითემა, აქერცვლა და იშვიათად – კონტაქტური რეაქცია.²⁷ გამოიყენება დღეში 2-ჯერ, ადგილობრივ რეტინოიდებთან კომბინაციაში გამოყენებისას, კანის გაღიზიანებისა და ფოტორეაქციის თავიდან აცილების მიზნით, ბენზოილის ზეჟანგი დილით, ხოლო რეტინოიდები საღამოს ინიშნება. ბენზოილის ზეჟანგისა და რეტინოიდების (ადაპალენი-რეტინოიდების სინთეზური ანალოგი, ტრეტინოინი) ერთდროული გამოყენება, უფრო ეფექტურია, ვიდრე თითოეული აგენტისა ცალკე-ცალკე^{28,29}.

ადგილობრივი რეტინოიდები

ადგილობრივი რეტინოიდები თავისი ქიმიური ფორმულით ენათესავენ ან A ვიტამინს. მათი ეფექტურობა აკნეს მკურნალობაში არაერთი მტკიცებულებითაა დადასტურებული.³⁴⁻⁵⁰ ისინი ერთადერთი საშუალებებია, რომლებიც ფოლიკულური ეპითელის ტერმინალური დიფერენციაციაზე ახდენს გავლენას და არჩევს პრეპარატებია არაანთებითი აკნეს მკურნალობისთვის. ამასთან, გამოიყენებიან ანთებითი აკნეს სამკურნალოდაც. რეტინოიდები ახდენენ ობსტრუქციის შემცირებას ფოლიკულში, კერატინიზაციის პროცესის ნორმალიზების გზით აფერხებენ კომედონების პროგრესირებას ანთებად დაზიანებამდე, აუმჯობესებენ კომედონების დრენაჟს, აფერხებენ ახალი კომედონების წარმოქმნას.^{51,52} რიგი შედარებითი კვლევებით არ გამოვლინდა რომელიმე რეტინოიდის უპირატესობა მეორესთან შედარებით:

- ერთერთი კვლევით ტაზაროტენის გელი უფრო ეფექტური აღმოჩნდა ტრეტინოინის გელთან შედარებით (არაანთებითი და ანთებითი დაზიანებების შემცირება)⁵³, თუმცა სხვა კვლევით დღეგამოშვებით ტაზაროტენით მკურნალობა ისეთივე ეფექტური იყო, როგორც ადაპალენით ყოველდღიური მკურნალობა.⁵⁴ ერთემა, წვა, ქავილი ტრეტინოინთან და ადაპალენთან შედარებით უფრო გამოხატული იყო ტაზაროტენის გელის შემთხვევაში; გვერდითი ეფექტები მცირდება ტაზაროტენის მალამოს გამოყენებისას, თუმცა შედარებითი კვლევები ამ აგენტისა და სხვა ადგილობრივი რეტინოიდებით არ ჩატარებულა.
- სხვა კვლევით ადაპალენი (0.1 % გელი) უფრო ეფექტური აღმოჩნდა ტრეტინოინთან შედარებით (0.025 % გელი).⁵⁵

გვერდითი ეფექტების შემცირება შეიძლება დაბალი კონცენტრაციის (0.025%) საშუალებების გამოყენებით და ამტანობის შემთხვევაში კონცენტრაციის თანდათან გაზრდით (0.025% მალამო, შემდეგ 0.01% გელი → 0.05% კრემი → 0.025% გელი → 0.1 % კრემი → 0.05% ხსნარი). ყველა რეტინოიდს გააჩნია კანის გამაღიზიანებელი მოქმედება. შეიძლება გამოიწვიონ კანის სიწითლე,

გაღიზიანება, დამწვრობა, ზრდიან ფოტოსენსიტიურობას, ამიტომ მათი გამოყენება უნდა მოხდეს საღამოს, ხოლო დღის განმავლობაში მზისაგან დამცავ საშუალებებთან (კრემებთან) ერთად. მკურნალობის დასაწყისში შესაძლოა მდგომარეობის გაუარესება. უკუნაჩვენებია ორსულობის დროს.

ცხრილი 2. რეკომენდაციები ადგილობრივი მკურნალობისათვის

რეკომენდაცია	რეკომენდაციის ხარისხი	მტკიცებულების დონე	ლიტერატურა
ბენზოილის ზეჟანგი	A	I	30-33
რეტინოიდები	A	I	34,37,47,50
ანტიბიოტიკები	A	I	61-69
სხვა ადგილობრივი საშუალებები	A	I	70-77

ადგილობრივი ანტიბიოტიკები

ადგილობრივი ანტიბიოტიკების დამატება P. acne-ს ცხიმოვანი ფოლიკულიდან ელიმინაციის მიზნით ხდება ანთებითი და პაპულური აკნეს მკურნალობის დროს. ადგილობრივი ერთრომიცინი გამოიყენება დღეში ერთხელ ან ორჯერ. ადგილობრივი 1%-იანი კლინდამიცინი გამოიყენება დამით ან დღეში ორჯერ. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ანტიბიოტიკების გამოყენებამ, შესაძლოა ხელი შეუწყოს P. acne-ს რეზისტენტული შტამების გაჩენას. რეზისტენტობა მცირდება ადგილობრივი ანტიბიოტიკების სხვა საშუალებებთან კომბინაციაში დანიშნისას. ამასთან, კომბინირებული მკურნალობა უფრო ეფექტურია, ვიდრე ამ საშუალებების ცალკე-ცალკე გამოყენება.⁵⁶⁻⁵⁹ მაგალითად, ერთერთი კვლევით გამოვლინდა, რომ 3%-იანი ერთრომიცინის და ბენზოილის ზეჟანგის 5%-იანი გელით კომბინირებული მკურნალობა არა მარტო აღემატებოდა ეფექტურობით თითოეულ აგენტს ცალკე-ცალკე, არამედ გაუმჯობესებას იძლეოდა რეზისტენტული შტამების შემთხვევაშიც⁶⁰. ასევე, კლინდამიცინი/ბენზოილის ზეჟანგის გელით მკურნალობა ეფექტური იყო თითოეულ აგენტთან შედარებით.⁵⁹ სხვა კვლევით კლინდამიცინი და ადაპალენის კომბინაცია უფრო ეფექტური იყო მხოლოდ კლინდამიცინთან შედარებით; თუმცა, კანისმხრივი გვერდითი ეფექტები (აქერცვლა, სიმშრალე, წვა) რამდენადმე გაუარესდა კომბინირებული მკურნალობის დროს.

სხვა ადგილობრივი საშუალებები

სალიცილის მჟავა - ისტორიულად ერთერთი ძველი აგენტია, რომელიც აკნეს მკურნალობისთვის გამოიყენებოდა. თუმცა, რეტინოიდებთან შედარებით, მისი კომედოლიზური მოქმედება უფრო სუსტია. ის წარმოადგენს რეტინოიდების ალტერნატივას როდესაც პაციენტებს აღენიშნებათ აუტანლობა რეტინოიდების მიმართ, რაც კანის ირიტაციით ვინდება.⁷⁰

აზელაინის მჟავა (II) – აქვს ანტიკომედონური და ანტიბაქტერიული თვისებები. ამიტომ გამოიყენება როგორც ანთებითი ასევე არაანთებითი აკნეს დროს. რიგი კლინიკური კვლევებით ნანახია მისი ეფექტურობა.⁷¹⁻⁷³ ამცირებს

კანის პიგმენტაციას და უფრო ეფექტურია მისი გამოყენება აკნესთან ასოცირებული ჰიპერპიგმენტაციის დროს.⁷⁴

ალუმინის ქლორიდს ანტიბაქტერიული მოქმედება გააჩნია. თუმცა, კვლევებმა განსხვავებული შედეგები აჩვენა – ერთ შემთხვევაში მისი ეფექტურობა გამოვლინდა⁷⁵, მეორეში⁷⁶ – არა.

სისტემური მკურნალობა

სისტემური ანტიბიოტიკები

სისტემური ანტიბიოტიკები ანთებითი აკნეს მკურნალობისათვის გამოიყენება. აინჰიბირებენ *P. acnes* ზრდას ფოლიკულში. სისტემური ანტიბიოტიკოთერაპია ადგილობრივ საშუალებებთან შედარებით უფრო სწრაფ კლინიკურ გაუმჯობესებას იძლევა, თუმცა შესაძლებელია ანტიბიოტიკების გვერდითი ეფექტების გამოვლინება, როგორცაა ვაგინალური კანდიდოზი, გასტროინტესტინული დარღვევები და ა.შ. ეს საშუალებები ინიშნება ყოველდღიურად, 4-6 თვის მანძილზე. მდგომარეობის გაუმჯობესებისას თანდათან ხდება დოზის შემცირება და შეწყვეტა. მათი შეწყვეტის შემდეგ მდგომარეობის შენარჩუნება შესაძლებელია ადგილობრივი რეტინოიდების ან ბენზოილის ზეჟანგის საშუალებებით.⁷⁷⁻⁷⁹

სისტემური მკურნალობისათვის გამოიყენება: ტეტრაციკლინი, დოქსიციკლინი, მინოციკლინი, ერითრომიცინი, ტრიმეტოპრიმ-სულფამეთოქსაზოლი და კლინდამიცინი.

ტეტრაციკლინს (I, A) უპირატესობა ენიჭება დაბალი ფასის და კვლევებით დადასტურებული მაღალი ეფექტურობის გამო. მკურნალობა იწყება დოზით: 500 მგ ორჯერ დღეში, თუმცა 250 მგ 2-ჯერ – შესაძლოა ასევე ეფექტური იყოს. აბსორბციას ამცირებს საკვები, რძის პროდუქტები, ანტაციდები, რკინა. ინიშნება უზომოზე მისაღებად. უკუნაჩვენებია ორსულობის დროს და 12 წლის ასაკამდე, ვინაიდან იწვევს კბილის მინანქარის ფერის შეცვლას.

დოქსიციკლინი (I) და მინოციკლინი (B) ტეტრაციკლინთან შედარებით უფრო მეტად ხსნადია ცხიმში და გამოიყენება უფრო მცირე დოზებითაც (100 მგ 2-ჯერ ან 50 მგ 2-ჯერ). ამ საშუალებების მიღება საკვებთან ერთადაც შეიძლება, ვინაიდან საკვები არ ამცირებს მის აბსორბციას. მინოციკლინი არჩევის პირველი რიგის პრეპარატი არაა მაღალი ფასისა და ტეტრაციკლინთან შედარებით მეტად ეფექტურობის შესახებ ზუსტი მონაცემების არარსებობის^{81,82}, აგრეთვე ტოქსიკურობის გამო.^{83,84} დოქსიციკლინი და მინოციკლინი ინიშნება ტეტრაციკლინით მკურნალობის არაეფექტურობის შემთხვევაში. **დოქსიციკლინი** იწვევს ფოტოსენსიბილიზაციას, საყლაპავის წყლულის განვითარების თავიდან აცილების მიზნით საკმაოდ დიდ დოზის წყალთან ერთად უნდა იქნეს მიღებული. შესაძლოა გამოიწვიოს თავბრუსხვევა, pseudotumor cerebri, კბილების ფერის ცვლილება, მგლურას მაგვარი სინდრომი.⁸⁵⁻⁸⁷ სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული მგლურას მქონე პაციენტებს შორის აკნეს მკურნალობის მიზნით.

ერითრომიცინი შესაძლებელია დაინიშნოს 250-1500 მგ დღიური დოზით (ორ მიღებად). მისი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება ტეტრაციკლინთან

შედარებით მცირეა, ამასთან ხშირად ვითარდება რეზისტენტული შტამები⁸⁸ და გასტროინტესტინური გვერდითი ეფექტები. ერთრომიცინი არჩევის საშუალებაა იმ შემთხვევებში, როცა შეზღუდულია ტეტრაციკლინის დანიშვნა (ორსული, 8 წლამდე ბავშვი). მიმდინარეობს კვლევა აზიტრომიცინის ეფექტურობის შესახებ, მაქსიმალური დოზა 6,0 გ 10 კვირის განმავლობაში.⁸⁹

ტრიმეტოპრიმ-სულფამეთოქსაზოლი არჩევის მეორე რიგის პრეპარატია (400/80მგ ერთჯერ ან ორჯერ დღეში) ეფექტური საშუალებაა მიიმე აკნეს მკურნალობისათვის, თუმცა მისი გამოყენება შეზღუდულია ისეთი სერიოზული გვერდითი ეფექტების გამო, როგორცაა ძვლის ტვინის სუპრესია და ტოქსიკური ეპიდერმული ნეკროზი. ამის მსგავსად, შეზღუდულია ორალური კლინდამიცინის გამოყენება ფსევდომემბრანოზული კოლიტის განვითარების რისკის გამო.

აკნეს მქონე პაციენტების მკურნალობის პროცესში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მიკრობთა რეზისტენტობა. მისი ხელშემწყობია ანტიბიოტიკების ფართოდ გამოყენება და მათი მონაცვლეობა. შედარებით ხშირია რეზისტენტობის განვითარება ერთრომიცინის, ხოლო იშვიათი – მინოციკლინის მიმართ. ანტიბიოტიკოთერაპიამ შესაძლოა ხელი შეუწყოს *Streptococcus pyogenes*-ის რეზისტენტული შტამებით ხახის კოლონიზაციას.⁹⁰ რეზისტენტობის პრობლემა შეიძლება შემცირდეს შემდეგი გზით:

- ანტიბიოტიკის დანიშვნა მისი აბსოლუტური საჭიროების შემთხვევაში; შეძლებისდაგვარად ხანმოკლე მკურნალობის კურსი (თუმცა არანაკლებ 3 თვისა); შესაძლებლობის მიხედვით ადგილობრივი საშუალებების გამოყენება;
- ბენზოილის ზეუანგის გამოყენებამ შეიძლება შეამციროს რეზისტენტობის სიხშირე;
- ორალური საშუალებების შეწყვეტის შემდეგ თუ დგება მისი განახლების საჭიროება, უმჯობესია ისევ იმავე ანტიბიოტიკის დანიშვნა, მანამ სანამ იგი ეფექტური დარჩება.

ცხრილი 3. რეკომენდაციები სისტემური ანტიბიოტიკოთერაპიისათვის

რეკომენდაცია	რეკომენდაციის ხარისხი	მტკიცებულების დონე	ლიტერატურა
ტეტრაციკლინები	A	I	91-94
მაკროლიდები	A	I	95-98
ტრიმეტოპრიმ-სულფამეთოქსაზოლი	A	I	99,100

სისტემური რეზინოიდები

სისტემური რეზინოიდები მძიმე ფორმის აკნეს მკურნალობისათვის გამოიყენება, ასევე შეიძლება მისი გამოყენება ნაკლებად მძიმე, მაგრამ მკურნალობისადმი რეზისტული ფორმის დროს, ნაწიბუროვანი აკნეს ან დაავადებასთან დაკავშირებული ძლიერი ფსიქო-სოციალური სტრესის შემთვევაში. ამცირებს ცხიმის სეკრეციას. მისი ეფექტი სამკურნალო საშუალების მიღების შეწყვეტიდან 1 წლამდე გრძელდება. ცხიმის შემცირება, თავის მხრივ, იწვევს პროლიფერაციის შემცირებას. სამკურნალო საშუალებას ანთების საწინააღმდეგო მოქმედებაც გააჩნია და კომედონების წარმოქმნას აფერხებს.¹⁰¹

სისტემური იზოტრეტინოინის დანიშვნის ჩვენებებია:

- მძიმე კვანძოვან-ცისტური აკნე;
- აკნე, რომელიც მხოლოდ მცირედ გაუმჯობესდა სისტემური ანტიბიოტიკოთერაპიის 6 თვიანი კურსის შემდეგ;
- ნაწიბუროვანი აკნე;
- აკნეთი გამოწვეული მძიმე სტრესი;
- განმეორებითი აკნე;
- ფულმინანტური აკნე;
- გრამ-უარყოფითი ფოლიკულიტი.

მკურნალობა იწყება 0.5 მგ/კგ დღიური დოზით და შეიძლება 2 მგ/კგ დოზამდე გაიზარდოს, ინიშნება 2 მიღებად საკვებთან ერთად. ჩვეულებრივ, მკურნალობის ხანგრძლივობა 20 კვირამდეა. არსებობს მტკიცებულებები, რომ ეფექტური შეიძლება იყოს უფრო დაბალი დოზებით მკურნალობაც.¹⁰² მკურნალობის დაწყებისას შესაძლოა აკნეს გაუარესება. ასეთ შემთხვევებში ნაჩვენებია სისტემური კორტიკოსტეროიდების დანიშვნა ან მკურნალობის უფრო დაბალი დოზებით (0.5 მგ/კგ/დღ-ზე ნაკლები) დაწყება. მკურნალობის კუმულაციური დოზა 120-150 მგ/კგ-ია.

პაციენტების 80%-ზე მეტს მკურნალობის ერთი კურსის შემდეგ ხანგრძლივი რემისია აღენიშნება. გაუმჯობესება მკურნალობის შეწყვეტიდან რამდენიმე თვე გრძელდება. საჭიროებისას, კურსის განახლებამდე 4-5 თვე უნდა იყოს გასული. რეციდივების უმეტესობა (96%) მკურნალობის შეწყვეტიდან პირველი 3 თვის განმავლობაში აღმოცენდება¹⁰³ და მისი სისშირე განსაკუთრებით მაღალია პაციენტებს შორის, რომელთაც აკნე უპირატესად ტორსზე აღენიშნებათ ან სამკურნალო საშუალების კუმულაციური დოზა 120 მგ/კგ-ზე ნაკლებია.

იზოტრეტინოინის კურსის შემდეგ რემისიის მაღალი სისშირის მიუხედავად, პაციენტების მხოლოდ 39%-ს აღენიშნება სრული გამოჯანმრთელება, 61%-ს კი კვლავ ესაჭიროება ადგილობრივი ან სისტემური ანტიბიოტიკებით მკურნალობის გაგრძელება.¹⁰⁴ იზოტრეტინოინის მაღალი ღირებულების მიუხედავად, ამ საშუალებით ჩატარებული მკურნალობა მაინც ხარჯთეფექტურად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ეს ერთადერთი საშუალებაა, რომელიც აკნეს განვითარების მექანიზმზე მოქმედებს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ იზოტრეტინოინთან დაკავშირებულია საკმაოდ სერიოზული და მძიმე გვერდითი ეფექტები, რაც ზღუდავს მის გამოყენებას.

იგი საკმაოდ ძლიერი ტერატოგენია. სხვა გვერდით ეფექტებს მიეკუთვნება კანკუნთოვანი, ჩონჩხოვანი, თვალის, ცნს-ის მხრივი ეფექტები, ასევე თავის ტკივილი. აღნიშნული გვერდითი ეფექტები დროებითია და მკურნალობის შეწყვეტასთან ერთად გაივლის. ერთეულ შემთხვევებში აღწერილია გუნება-განწყობის ცვლილება, სუიციდური იდეები და სუიციდი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საშუალება დანიშნული უნდა იქნეს სათანადო კომპეტენციის მქონე ექიმის მიერ.

ცხრილი 4. იზოტრეტინონით მკურნალობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

რეკომენდაცია	რეკომენდაციის ხარისხი	მტკიცებულების დონე	ლიტერატურა
იზოტრეტინონი	A	I	108-116

იზოტრეტინონის გვერდითი ეფექტების უმეტესობის მართვა (მაგ. დამარბილებელი საშუალებები მშრალი კანისთვის, აასს-ები მიაღვიის ან ართაღვიის, საკვები რაციონის ცვლილება ლიპიდურ სპექტრში ცვლილებების დროს) მკურნალობის შეწყვეტის გარეშეც არის შესაძლებელი.

ცხრილი 5. ადგილობრივი და სისტემური საშუალებები

სამკურნალო საშუალება	დოზირება	ბამოწმების ფორმა	გვერდითი მოვლენები
ადგილობრივი რეტინოიდები			
ტრეტინოინი* (Tretinoin)	ჩვეულებრივ, დღეში ორჯერ (შეიძლება ყოველდღიური ან აუტანლობის შემთხვევაში დღეგამოშვებით გამოყენება)	0.025 % კრემი 0.01 % გელი 0.05 % კრემი 0.025 % გელი 0.1 % კრემი 0.05 % ხსნარი	ადგილობრივი ირიტაცია; ფოტოსენსიტიურობა
ადაკალენი* (Adapalene)	ყოველდღიურად ან დღეში ორჯერ	0.1 % გელი	ადგილობრივი ირიტაცია (ტრეტინოინთან შედარებით ნაკლებად); ფოტოსენსიტიურობა
ტაზაროტენი* (Tazarotene)	ყოველდღიურად	0.05 % გელი 0.1 % გელი	ადგილობრივი ირიტაცია (ტრეტინოინთან შედარებით ნაკლებად); ფოტოსენსიტიურობა; უკუნაჩვენებია ორსულობის და ძუძუთი კვების დროს
ბენზოილის ზეჰსანი* (Benzoyl peroxide)	ყოველდღიურად ან დღეში ორჯერ	2.5, 5, და 10 % გელი, ლოსიონი 5 % ხსნარი + 3 % ერითრომიცინი 6 და 10 % გელი + გლიკოლის მუავა	ადგილობრივი ირიტაცია; შეიძლება გამოიწვიოს კანისა და ტანსაცმლის გაუფერულება
ადგილობრივი ანტიბიოტიკები			
მეტრონიდაზოლი (Metronidazole)	დღეში ორჯერ	1 % კრემი 0.75 % გელი	

კლინდამიცინი (Clindamycin)	დღეში ორჯერ	10 მგ/მლ გელი 10მგ/მლ ლოსიონი 10 მგ/მ ადგილობრივად სახმარი ხსნარი	თეორიულად - ფსევდომემბრანოზული კოლიტი
ერიტრომიცინი (Erythromycin)	დღეში ორჯერ	1.5 % ხსნარი 2 % ხსნარი 2 % გელი 2 % მალამო 2 % კომპრესი	
აზელაინის მჟავა (Azelaic acid)	დღეში ორჯერ	20 % კრემი	
ორალური ანტიბიოტიკები			
ტეტრაციკლინი (Tetracycline)	500 მგ ორჯერ დღეში (ან 250 მგ ორჯერ დღეში)		უკუნაჩვენებია ორსულობის და 12 წლის ასაკამდე, რადგან შესაძლებელია გამოიწვიოს კბილების ფერის შეცვლა
დოქსიციკლინი (Doxycycline)	100 მგ ორჯერ დღეში		ფოტოტოქსიკურობა; საყლაპავის დაწყულულება
მინოციკლინი* (Minocycline)	50 დან 100 მგ-მდე ორჯერ დღეში		ვერტიგო; pseudotumor; კბილების ფერის ცვლილება
ერიტრომიცინი (Erythromycin)	250 დან 750 მგ-მდე ორჯერ დღეში		გასტროინტესტინური ჩივილები
ორალური რეტინოიდი			
იზოტრეტინოინი (Isotretinoin)	0.5 მგ/კგ, იზრდება 1 მგ/კგ- მდე, საერთო დოზა 120 დან 150 მგ/კგ-მდე არანაკლებ 20 კვირის მანძილზე		ტერატოგენობა (აბსოლუტურად უკუნაჩვენებია ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს); კან- კუნთოვანი გვერდითი ეფექტები; ჰიპერტრიგლიცერემია; დეპრესია; ძვლის ტვინის სუპრესია; სხვა (იხ. ტექსტში)
*აღნიშნული საშუალებები საქართველოში რეგისტრირებული არ არის			

სხვა მკურნალობა

კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივებით მკურნალობა (ესტროგენი, პროგესტინი) ალტერნატიული მეთოდია ქალებისთვის, რომელთაც კლასიკური მკურნალობა არასაკმარისია. ორალური კონტრაცეპტივები გამოიყენება მათი ანტიანდროგენული ეფექტის გამო, ესტროგენული კომპონენტი ამცირებს ანდროგენების პროდუქციას, თავისუფალ ტესტოსტერონს. მარტო პროგესტინის შემცველი კონტრაცეპტივები არაეფექტურია, შესაძლოა მათი გამოყენების ფონზე მდგომარეობის გაუარესება. ასევე არ არსებობს კვლევა, რომელიც სხვა სახის კონტრაცეპტივების ეფექტურობას ადასტურებს. პასუხი მკურნალობაზე 3-6 თვის შემდგომ მიიღება. არაერთი კვლევა ადასტურებს ინსულინორეზისტენტობისა და აკნეს კორელაციას, შესაბამისად მეტფორმინი ამ შემთხვევაში არჩევის პირველი რიგის პრეპარატია, შედეგი ძლიერდება მეტფორმინისა და ორალური კონტრაცეპტივების კომბინირებული გამოყენებისას.¹¹⁷

სპირონოლაქტონი – მისი ანტიანდროგენული ეფექტის გამო გამოიყენება ქალებში, როდესაც მკურნალობის სხვა სახე არაეფექტურია. ახდენს ტესტოსტერონის მიერ ცხიმოვანი ჯირკვლებისა და თმის ფოლიკულების სტიმულაციის შეჩერებას. ოპტიმალური დოზა 50-200მგ, პასუხი მკურნალობაზე მოსალოდნელია 2-3 თვეში. არ გამოიყენება ორსულებში. ფერტილური ასაკის ქალებში მისი გამოყენებისას რეკომენდებულია ორსულობისაგან თავის შეკავება. გვერდითი ეფექტები იშვიათია; შესაძლოა არარეგულარული მენსტრუაცია, თავის ტკივილი, დისპეპსია. სპირონოლაქტონი კალიუმის შემნახველი შარმდენია, შესაბამისად შესაძლოა კალიუმის დონის მატება, რეკომენდებულია ელექტროლიტების დონის მონიტორინგი. დასაშვებია ხანგრძლივი გამოყენება (1-2 წელი), მოკლე შესვენებებით.¹²²

ფლუტამიდი არასტეროიდული ანტიანდროგენია; ძირითადად პროსტატის ჰიპერტროფიისა და ჰირსუტიზმის სამკურნალოდ გამოიყენება. ეფექტურია აკნეს მკურნალობაში. მის გამოყენებას ზღუდავს ღვიძლის უკმარისობის განვითარების მაღალი რისკი.

ცხრილი 6. ჰორმონულ მკურნალობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები


რეკომენდაცია	რეკომენდაციის ხარისხი	მტკიცებულების დონე	ლიტერატურა
კონტრაცეპტივები	A	I	118-121
სპირონოლაქტონი	B	II	123
ანტიანდროგენები	B	II	124, 125
ორალური კორტიკოსტეროიდები	B	II	126

ორალური კორტიკოსტეროიდები გამოიყენება ორი მიზეზით: ანტიანთებითი ეფექტი და ადრენალური აქტივობის სუპრესია. მაღალი დოზით ხანმოკლე კურსი რეკომენდებულია ძლიერ გამოსატული ანთებითი დაზიანებების დროს.


კვლევები ადასტურებს, რომ აკნეს მქონე პაციენტებს თუთიის ნორმაზე ნაკლები შემცველობა აქვთ, თუმცა ეს ფაქტი არ არის თუთიის შემცველი მედიკამენტების ან ბიოდანამატების დანიშვნის ჩვენება. რამოდენიმე ორმაგი ბრმა-რანდომიზებული კვლევით დადასტურებულია, რომ თუთია უფრო ეფექტურია, ვიდრე პლაცებო, მაგრამ ნაკლებეფექტურია ანტიბიოტიკებთან შედარებით. ამავე დროს, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ყველა კვლევაში, რომელიც სუსტად, მაგრამ მაინც ადასტურებს თუთიის დადებით ეფექტს, იგი გამოყენებული იქნა დოზით, რომელიც დღიურ მოთხოვნას აღემატება და შესაძლოა ტოქსიკური იყოს.^{127,128,129}

აკნეს მკურნალობა სიმძიმის მიხედვით (ალგორითმები)


სქემა 1. მსუბუქი აკნეს მკურნალობის ალგორითმი



სქემა 2. საშუალო სიმძიმის აკნეს მკურნალობის ალგორითმი



სქემა 3. მძიმე აკნეს მკურნალობის ალგორითმი



7. რეფერალი

რეფერალის ჩვენება მუდმივი კამათის საგანია, სადღეისოდ ოჯახის ექიმის კომპეტენცია და რესურსი საშუალებას იძლევა, მართოს ნებისმიერი სიმძიმის აკნე; თუმცა, დერმატოლოგის ჩართვა შესაძლებელია მკურნალობის ნებისმიერ ფაზაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პაციენტების დიდი ნაწილი გარკვეული დროის განმავლობაში თვითმკურნალობას ეწევა და ამ პროცესში თვითონ ღებულობს გადაწყვეტილებას, ვის მიმართოს პირველად ოჯახის ექიმს, თუ დერმატოლოგს.¹³⁷ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ოჯახის ექიმს არამარტო დერმატოლოგთან არამედ შესაძლოა სხვა სპეციალისტებთანაც დასჭირდეს პაციენტის რეფერალი.

დერმატოლოგთან რეფერალს საჭიროებენ:

- პაციენტები მსუბუქი და საშუალო სიმძიმის აკნეთი, როდესაც ექვსთვიანი კონსერვატიული თერაპიის შემდეგ ეფექტი არ ვლინდება;
- პაციენტები, რომელთა დაავადება რეფრაქტერულია მკურნალობის მიმართ, განსაკუთრებით მძიმე აკნეს და ნაწიბურების შემთხვევაში;
- პაციენტები სისტემური იზოტრეტინოინით კურსის დანიშნისას – ამ შემთხვევაში მკურნალობის მეთოდს ირჩევს დერმატოლოგი, მაგრამ გამომდინარე მედიკამენტის ტერატოგენული ეფექტებიდან, იზოტრეტინოინით მკურნალობის დაწყებაბმდე ერთი თვით ადრე, ფერტილური ასაკის ქალებისათვის აუცილებელია კონტრაცეპტივების დანიშვნა. ამ პერიოდით პაციენტი მეთვალეურეობისათვის კვლავ უბრუნდება პჯდ-ს.

პირველადი ჯანდაცვის დონეზე პაციენტის დაბრუნების კრიტერიუმები:

- აკნეს სტაბილიზაცია;
- შერჩეულია თერაპიის გაუმჯობესებული რეჟიმი;
- დამთავრებულია სისტემური იზოტრეტინოინით მკურნალობის კურსი;
- ლაბორატორიული კვლევები (გარკვეული პერიოდულობით) სისტემური იზოტრეტინოინით მკურნალობის პროცესში.

რეფერალი ენდოკრინოლოგთან:

- სახეზეა ჰიპერანდროგენემიის ნიშნები.

რეფერალი ფსიქოლოგთან:

- სახეზეა ფსიქიკის სხვადასხვა სახის დაზიანება.

8. ხანბროპლივი მითვაღყურეობა

მკურნალობის ეფექტურობის შეფასება და გეგმის გადახედვა ყოველ 2-3 თვეში ერთხელაა საჭირო.

- პაციენტები, რომელთაც მკურნალობა სისტემური რეტინოიდებით უტარდებათ, მკურნალობის დაწყებამდე და შემდგომ გარკვეული პერიოდულობით უნდა ჩაუტარდეთ სისხლის საერთო ანალიზი, შრატის ტრიგლიცერიდების, ქოლესტერინის, ღვიძლის ფუნქციური ტესტების განსაზღვრა. ზოგადად ჯანმრთელ, ასიმპტომურ პირებს შორის, რომელთაც დიაბეტის ან დისლიპიდემიის ოჯახური ანამნეზი არ აქვთ, ლაბორატორიული კვლევების ჩატარება შესაძლებელია თვეში ერთხელ, სხვა შემთხვევაში კი ყოველკვირეულად ან ორ კვირაში ერთხელ, მანამ, სანამ მაჩვენებლები რეკომენდებულ ზღვარს არ მიუახლოვდება.
- იზოტრეტინოინით მკურნალობის შეწყვეტის ჩვენებაა მძიმე ჰიპერტრიგლიცერიდემია (მაგ. >800 მგ/დლ ან 9 მმოლ/ლ – მწვავე პანკრეატიტის განვითარების რისკის გამო)¹⁰⁵ ან სხვა გამოსატული ლაბორატორიული ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ იზოტრეტინოინით მკურნალობის შეწყვეტის შედეგად ჰიპერტრიგლიცერიდემია თანდათან წესრიგდება, პაციენტებს მაინც ესაჭიროებათ შემდგომი მეთვალყურეობა, ვინაიდან ერთ-ერთი კვლევის მიხედვით მათ მომავალში ჰიპერლიპიდემიის და მეტაბოლური სინდრომის განვითარების მაღალი რისკი აქვთ.¹⁰⁶ როგორც აღმოჩნდა, მიკრონიზებული იზოტრეტინოინის გამოყენების შემთხვევაში ნაკლებია კანკუნთოვანი გვერდითი ეფექტების და ჰიპერტრიგლიცერიდემის განვითარების რისკი.¹⁰⁷
- სპირონოლაქტონით მკურნალობის შემთხვევაში, თერაპიის დაწყებამდე და შემდგომ, პერიოდულად უნდა განისაზღვროს სისხლში ელექტროლიტების დონე.
- ტრიმეტროპრიმ/სულფომეთოქსაზოლით მკურნალობის დროს საჭიროა სისხლის საერთო ანალიზის მონიტორინგი.
- მინოციკლინით ხანგრძლივად სისტემური მკურნალობის (1 წელზე მეტი) შემთხვევაში რეკომენდებულია ანტინეკლეარული ანტისხეულების და ღვიძლის ტრანსამინაზების განსაზღვრა.

9. ეთიკურ-სამართლებრივი საკითხები

აკნეს მართვის დროს წამლის შერჩევისას ძალზე მნიშვნელოვანია მკურნალობის სარგებლობისა და რისკის შედარება, რადგან აკნეს სამკურნალოდ გამოყენებული წამლების დიდ ნაწილს გამოხატული გვერდითი ეფექტები ახლავს თან (სისტემური რეტინოიდები, ანტიბიოტიკები, სპირონოლაქტონი და სხვა). აუცილებელია, პაციენტის სრულყოფილი ინფორმირება მკურნალობის მიზნებისა და ყველა შესაძლო გართულების, აგრეთვე, სამკურნალო საშუალებების ხელმისაწვდომობის შესახებ და მისგან

